საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარედაქციო ჰარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-საალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღია ადილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 100 მანეთი

№ 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, ნოემბერი 24

1921 წ.

სახელმწიფო დრამის თეატრის მმართველობა და ქართველი მსახიობნი ამით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას რომ ხუთშაბათს, ნოემბრის 24-ს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი წლის თავის აღსანიშნავად განსაკუთრებულ მსახიობის

ლადო
ალექსი-მესხიშვილისა

ქვაშვეთის ტაძარში.

ანნა ვასილის ასული ალექსი-მესხიშვილისა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ხუთშაბათს, ამა ნოემბრის 24-ს ნაშუადღევის 4 ნახ. საათ. გადახდილ იქნება პანაშვიდი დაუვიწყარ ძვირფას მეუღლის

ლადო
ალექსი-მესხიშვილის

დიდუბის პანთეონში.

დამწუხრებული დედა მაშო ძმაკი: კოსტა, მირიან, ბენედიქტა, დები: ლოლა, ქსენია, და მარია კაკურიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ნოემბერს ქალაქ ახალციხეში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სილიბისტრო საბას ძე კაკურია

მიცვალებული განსვენებული იქნება გურიაში და დასაფლავებული სოფელ გორაბერეჟოულის ეკლესიაში დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 103

უზომოდ დამწუხრებულნი მოულოდნელი უბედურებით მწუხარე გრიგოლის ასული, ივდითი სერაპიონის ასული და ათანასე სიმონის ძე გოგოშაძეები უცხადებენ თანაგრძნობას წმუხარებაში თეოფილე დვალს და მის ოჯახს და გულის ტკივილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ვიკტორ თეოფილეს ძის
დვალის

ტრაგიკულად გარდაცვალების, რომლის დასაფლავება მოხდა ს. ზუდაზენარაში (რიჭაში).

დღეს, ხუთშაბათს, ნოემბრის 24-ს, საღამოს 7 საათზე, სერგიევის ქ. № 13
ხელოვანთა სასახლეში
ხ. ს ქართველოს მწერალთა კავშირ ხ ხაბჭო გამართავს თავის პირველ
„ლიტერატურულ ხუთშაბათობას“
კოშია გამახურდია წაიკითხავ მოხსენებას:
„სტეფან გეორგიუ“
დასასრულ სტეფან გეორგეს ლექსებს ქართულად წაიკითხავენ: ი. გრიშაშვილი, კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე, ს. ბაბაშელი, და სხვ.
დასწრება ყველას შეუძლიან. 106

სახელმწიფოებრივი საკითხები

3

ფედერაციის პრობლემა.

ფედერაციის გარშემო ჩვენს საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმაა. ფედერაციის საკითხი ჩრდილავს ყველა სხვა საკითხებს, იგი ხდება ფორმად ჩვენის სულის თქმის და ცხოვრების.

ფედერაციის იდეა მარტო კავკასიაზეა არ წამოუყენებია. პარიზში საქართველოს მემარჯვენეებმა მენშევიკების მეთაურობით პირველი საძირკველი ჩაუყარეს ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

ჩვენ უარვყვეთ მენშევიკური ფედერაცია. უარვყავით იმიტომ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციას მათ არ ამოუყენეს არც ერთი სერიოზული მოსაზრება, ხოლო მენშევიკური „თავისუფალი საქართველო“, რომელიც სავსებით გადაიქცა ინსინუაციების, ჭორების და ბულვარის გაზეთად გარდა უმნიშვნელო ფრაზეოლოგიისა არაფერს ამბობს მენშევიკურ ფედერაციის შესახებ.

ფედერაცია ჩვენ გვინდა იმიტომ კი არა, რომ საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მასალა იყოს სხვა რომელიმე პოლიტიკური მიზნებისათვის, არა. ფედერაციას ჩვენ მოვითხოვთ, ვინაიდან ფედერაციის სისტემა უნდა აახიერებდეს, ამტკიცებდეს, ანვითარებდეს საქართველოსათვის აშვიდობას, ერეოვანი და კაცობრიულ კულტურას.

ფედერაციის საკითხს ჩვენ უველით პირველ ყოვლისა და უმთავრესად საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით ჩვენ ეს სასიცოცხლო ინტერესები უნდა გამოვხატოთ ციფრებში, ცნობებში, ეკონომიურ ექსკურსიებში, რეალურ შედარებებში და რიგორც ლაბორანტი ნივთიერებათა კომბინაციაში მეცნიერულად დარწმუნებულია, რომ სხვა და სხვა ქიმიური შეერთება იძლევა კონკრეტულ ეფექტს ახალი სხეულის სახით, ისევე ჩვენ უნდა ვიყოთ სავსებით დარწმუნებული, რომ ფედერაცია იქნება არა ლიტონი, ლამაზი სიტყვა, არამედ ‘ქვეყნისათვის საესარგებლო რეალობა.

ჩვენ ფედერალისტები ვართ. რას ნიშნავს ეს? ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ ფედერაციის პირველს გაგონებაზე გოხება დავკარგოთ და ყოველგვარ ფედერაციაში ამოვყოთ თავი? — ერთხელაც არა!

ფედერაცია გვავალებს მარადიულ ინტერესის თვალსაზრისით გვახსოვდეს საკუთარი, მშრომელი ერის ინტერესი, მაგრამ ამავე დროს სავსებით წარმოდგენილი ვქონდეს ბედი მთელი ფედერაციისა, როგორც ერთი მთელის ფედერაციაში შესული სახელმწიფოთა.

ჯერ-ჯერობით ვინც ჩვენ წამოგვიყენა იდეა ფედერაციისა, როგორც მარჯვნივ (მენშევიკები, მემარჯვენე ფედერალისტები და სხ.), ისე მარცხნივ (კომუნისტები) კრინტსაც არ სძრავენ კონკრეტულად ფედერატების მდგომარეობის შესახებ კონკრეტულად, ხოლო რაც განსაკუთრებით საყურადღებოა არაფერს ამბობენ მთელს ამიერ კავკასიის ფედერაციაზე.

კომუნისტებში ეხლაც არ არის გარკვეული ჩვენ გვექნება ამიერ-კავკასიის ფედერაცია თუ კავკასიის ფედერაცია, ხოლო ამ ფედერაციაში ჯოგსავით შევყრით ყოველ მოდგმას, თუ ჯერ გარკვეული და ჩამოყალიბებული იქნება მთელი თავისი ავტორიტეტით და სეპარატიზმით ყოველი ფედერატის ინდივიდუალობა.

ჩვენ ეხლაც არ ვიცით საბოლოოთ და გადაჭრით რა ფორმალურ მდგომარეობაში დარჩება მაგალითად დაფხაზეთი: რომელიც დამოკიდებულიც არის ტ დამოუკიდებელიც, რა ბედი მოუწევს აჭარას, როგორ გადიჭრება ოსთა საკითხი, რომელსაც ყურადღებას ვაქცევთ, როგორც სახელმწიფოებრივ საკითხს ჩვენ დღესაც ვფიქრობთ ავტონომიები მივცეთ ზოგიერთ კუთხეს (მაგ. აჭარა, ფაზეზეთი), მაგრამ თუ საქართველო იქნება ამიერ-კავკასიის ერთი ფედერანტი, მაშინ გასარკვევი რა უფლებრივ ინსტიტუტს ვქმნით ჩვენ ფედერანტის ავტონომიის სახით. ეს რადაც უმაგალითო კურიოზები გამოვა ისტორიაში, რაზედაც თვით ბალანებით უმდიდრეს რუსეთს სიზმარშიაც არ უნახავს.

ვართ თუ არა ჩვენ მართალი განსაკუთრებით დღეს, როცა ადგილობრივად, ჩვენივე აჩქარებით შევქმენით სხვა და სხვა სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეულები, რომელნიც დღეს უკვე თავსატეხად გვიხდება ფედერაციის გამო?

და ასეთივე თავსატეხი საკითხი იქნება მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციაც რუსეთის პრობლემის წინაშე.

ჩვენ კატეგორიულად უარვყავით მენშევიკების ამიერ-კავკასიის ფედერაცია, როგორც სრულიად დაუსაბუთებელი, რომელსაც მხოლოდ და მარტო პარტიული ინტერესები ასულდგმულებს და ჩვენ ასევე უარვყოფთ ბოლშევიკების ფედერაციას, სადაც ჯერ მთელი რიგი ძირითადი კითხვა კითხვად სდგას და მრავალი პრობლემა გაურკვეველია.

ჩვენ არ ვიკვლევთ პოლიტიკურ სარჩულს წამოყენებულ ფედერაციისას, არ ვეძებთ მოტივებს თუ ვის რად და რისთვის სჭირიან ეს ფედერაცია. ჩვენ არსებითად ფედერაციის პსიხოზის წინაშე ვდგევართ, სადაც კონკრეტულად და დადგენილებით არ არის წარმოდგენილი არა მარტო ფედერაციის შინაგანი ნოემენკლატურა, არ არის წარმოდგენილი ორგანიზაცია, წესი ფედერაციის განმტკიცება გამოცხადებისა და მისი საერთაშორისო ნორმატიული მდგომარეობა.

ასეთი ფედერაცია იქნება უფრო პოლიტიკური სკანდალი, ვიდრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია და თანამედროვე პირობებში ჩვენ ასეთ სკანდალებით თავს ვერ გავირთობთ.

ძველრე წერილში ჩვენ წინ წამოვაყენეთ რუსეთის საკითხი. მხოლოდ ფედერაციის პსიხოზით ვხსნით, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის პრობლემამ სრულიად მიაფუჩეჩა ის გენერალური ძალა, რომელსაც რუსეთი წარმოადგენს.

ჩვენ გვსურს დიდი პოლიტიკური საქმეები გავაკეთოთ. რას ნიშნავს ეს? — ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი თუ არა, პატარა პოლიტიკური ალღო, მცირე პოლიტიკური მოსაზრებანი უნდა გაგვაჩნდეს.

ჩვენთვის პოლიტიკა სურვილის საკითხი არ არის. მოვლენას ქმნის ისტორიული ძალთა განწყობილება, პოლიტიკა რეალურ პირობათა სწორად გაგება; მისი მიმართვაა ცხოვრების ტენდენციების მიხედვით. ადვილად აშკარაა — თუ ჩვენ გვინდა პოლიტიკაში რეალისტები ვიყვეთ, და არ შეგვიძლიან პოლიტიკა დავაყენოთ რეალურ პოლიტიკის გარეშე — მაშინ პირუთვნელი, სასტიკი, სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ მოვლენებს, რომელნიც ჩვენზე ოდნავადაც არ არიან დამოკიდებულნი, რომელნიც ჩვენ მასხრად აგვიდებს თუ მისი საიდუმლოებანი ვერ გავიგეთ და სასაცილოდ გაგვრიყავს ცხოვრებიდან თუ მის მიმართვას არ შეუთანხმებთ საკუთარ ნებისყოფას.

პოლიტიკურ ვითარებაში ჩვენ იმდენად ვითამაშებთ აქტიურ როლს, რამდენადაც პოლიტიკურ ტენდენციებს ბუნებრივად უჩვენეთ გასავალს.

პოლიტიკური ცხოვრება — მდინარეა თავისი გარკვეული კალაპოტით. შეიძლება ამ კალაპოტის მხოლოდ მიხვევ-მოხვევა, სახის დაჩნევა, ასე თუ ისე წარმართვა და მოწესრიგება, მაგრამ ამ კალაპოტის ძირითად მიმართულების შეცვლა — ოცნებაა, შეუძლებელია.

პოლიტიკურ პარტიისათვის — ეს კანონია. გადაუხვიეთ ამ კანონს თქვენ მოგვავათ ნოე რამიშვილის პროპაგანდის ბედი, რომელიც უცდის მეორე ინტერნაციონალის ჯარის შედგენას საქართველოში შემოსაყვანად, რომელსაც სწამს ყოველივე ეს, მაგრამ ცხოვრება კი დაჰყურებს თავზე და სიცილით ეუბნება: — სანამდი გაირთობ თავს ასეთის ოცნებობითო.

ქვეყანას, ერს, ხალხს, სახელმწიფოს არ შეუძლიან ასეთ ოცნებას მიენდოს. რანაირი მდგომარეობაც უნდა იყოს, მისთვის რეალური მდგომარეობა — ფაქტია, ამ ფაქტს პოლიტიკურმა მოღვაწემ თვალები უნდა გაუყაროს, ხელები უნდა ჩაავლოს და ფაქტიურად იმუშაოს.

საქართველოში — ამბობენ — პოლიტიკურ აზროვნების ოსტატები არიანო. მიპასუხეთ: ვინც ამიერ-კავკასიის საკითხს გადაწყვეტს რომელიმე ფორმულის თვალსაზრისით, მაგრამ არავითარ ანგარიშს არ გაუწევს რუსეთის გენერალურ ინტერესებს, როგორც ფაქტს, არ გაითვალისწინებს რუსეთის ფაქტიურ მოძრაობას — არის თუ არა იგი პოლიტიკურ სიბეცით აღვსილი და უდიდესი ფანტაზიორი?

ჩვენ ვერ გავცვლით პოლიტიკურ ფანტაზიებს და ილიუზიებს. ჩვენ ცხოვრებას უყურებთ, როგორც იგი არის სინამდვილეში და ამიტომ სრულიად განთავისუფლებულნი ფედერაციის პსიხოზიდან წინ ვაყენებთ გენერალურ საკითხს — რუსეთის პრობლემას.

რას ნიშნავს რუსეთი?

თედო ლალონტი.

ლადო მესხიშვილი

(გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო).

ლადო მესხიშვილი

(გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების გამო).

დღეს შესრულდა ერთი წელიწადი რაც ლადო მესხიშვილი გარდაიცვალა.

მწუხარებით ვიგონებთ წლის თავზე ქართულ თეატრის სიამაყეს.

ბევრი მდუღარე ცრემლი დაიღვარა ლადო მესხიშვილის საფლავზე. ბევრი მეერმეტყველური სიტყვა წარმოითქვა მის კუბოს წინაშე.

და აი დღესაც, ერთი წლის შემდეგ კიდევ მწუხარებით ვიგონებთ მის დიდებულ სახეს და თვალწინ გვიდგა მისი ბრწყინვალე არტისტიული ნიღაბი.

ამ ნიღაბ ქვეშ იმალებოდა ყოველივე ის, რაც მას მიზნიდველ და გრძელულ ძალად ჰხდიდა როგორც მსახიობს.

დღესაც თითქო ცხადად ვხედავ მის დიდრონ თვალებს. მუდამ ცეცხლით რომ იყო სავსე.

დიდ შუბლს. ბოლოს დროს მიმქრალ შარავანდედით შემოსილს. ზედ რომ შავი სიკვდილის აჩრდილი დანავარდობდა.

ქართულ თეატრმა ლადო მესხიშვილში დაჰკარგა ერთი ის დედაბოძი, რომელიც მუდამ უმთავრესი დერძი იყო და დიდი მამოძრავებელ ძალის გამოხატველი.

ქართულ თეატრის ისტორიკოსი ლადო მესხიშვილზე, მომავალ თაობას ბევრ რამეს ეტყვის.

ლადო მესხიშვილმა მთელი კულტურა შეჰქმნა ქართულ სცენაზე. საფუძველი ჩაუყარა იმ არტისტიულ ტრადიციას, რომელიც რაც გინდ ახალი სკოლის და ახალი მიმართულების მსახიობი იყოს გზას ვერ აუქცევს და მიიღებს მას როგორც რამ დიად ჭეშმარიტებას.

ლადო მესხიშვილში ჩემთვის ძვირფასი იყო უფრო მისი არტისტიულობა ვიდრე სახიერება.

დვთიური ცეცხლი და ალმოხეთქვა ვულკანიური — აი ლადო მესხიშვილის უმთავრესი ძლიერება და მართლაც რომ ძლიერი იყო მისი არტისტიული ინსტინქტი და პოტენციალი.

მე მოგმწონდა ლადოს არტისტიული ლამაზი ტესტი — სიმეტრიით და პროპორციით შეზომილი, სულიერ ხმაურთან შეთანხმებული და მდელვარე ჰეთოსით გამაგრებული.

მე ვიტყოდი კიდეც, რომ ლადო მესხიშვილში ნაკლები იყო სახიერება ვიდრე არტისტიულობა. მისი მსახიობობა ხშირად მოკლებული იყო ტრაქტოვკას და ერუდიციასთან დაშორებული.

სწავლა ყველასათვის მისაწვდომია — ნიჭი კი მხოლოდ რჩეულთ ეძლევათ.

ნიჭიერ ადამიანში და მით უმეტეს გენიოსში რაღაც არის არა ჩვეულებრივი და დვთაებრივი.

„როდესაც მუნე სიუჟეტი სცენაზე გამოდიოდა მასში იყო რაღაც ღვთაებრიობაო“ გვეუბნება სარსე.

თუ პრომეთეოსმა ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა, მუნე სიუჟეტიმ პრომეთეოსს მოსტაცა ცეცხლი, და ამ ცეცხლით ლადო მესხიშვილიც იყო განათებული.

ლადო დიდი მაგი იყო. მაგიური იყო მისი თვალები, ცხვირის ნესტოები თუ პლასტიური მიმიკა და თითების თამაში.

და სწორედ ეს „თამაში“ იყო დიდებული.

ლადო მესხიშვილი ქართულ თეატრის არწივი იყო ღა მის ფრთების ფრთხიალმა გამოაღვიძა მიძინებული ქართველი საზოგადოება და შეაყვარა სიტყვა ქართული.

და მერე რა სიტყვით ლაპარაკობდა მესხიშვილი? რა კილოთთ? დღეს ქართულ სცენაზე, სამწუხაროდ, ასე ალარავინ ლაპარაკობს. მესხიშვილმა კი იცოდა ნამდვილი ქართული ლაპარაკი — ეს იმიტომ, რომ მან იცოდა სავსებით ქართულ კილოს — აქცენტის სიდუმლოება. მესხიშვილის ლაპარაკში მკაფიოდ გამოიხატებოდა: ქართულ ენის კეთილშობილება, სიდარბაისლე, კეთილხმოვანობა და არისტოკრატობა.

ვაშა! მესხიშვილო! გაიძახოდა ქართველი საზოგადოება და მომავალის იმედით ადტაცებული გუნდრუკს უკმევდა თავის დიდებას. ძვირფას სახეებით რომ ეფცნაურებოდა სცენაზე — ხან ლევან ხიმშიაშვილში და ხან ჰამლეტში.

ქართული თეატრის არსებობა მესხიშვილით გამართლდება და მესხიშვილითვე დაფასდება.

დიდუბის პანთეონში გაჭრილ სამარეში ქართველმა ერმა ჩაასვენა ის ადამიანი, რომლის სახე მუდამ ყმს სიმბოლო იქნება როგორც ქართულ თეატრის — უკვდავების გვირგვინის.

გიგანტ გარრიკი.

ახალი ამბები

— გდ. მესხიშვილის გარდაცვალების წლის თავი. ქართულ თეატრის დამსახურებულ მსახიობ ვდ. მესხიშვილის გარდაცვალების წლის თავის ადნიშვნა გადაწყვეტილია მოხდეს კვირას 27-ს ნოემბერს დრამის თეატრის დარბაზში, სადაც გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი და წარმოთქმული სიტყვები ქართველ მწერლების და მსახიობების მიერ.

— **ქართული ოპერა.** ახლო მომავალში სახელმწიფო ოპერაში დაიდგმება ახალი დიპლომანტი და არაყოფილის ოპერა „ოქმელება შოთა რუსთაველზე“. ამ ოპერის შესავლებად ავტორმა ჩაუმატა კიდევ ერთი სცენა, რომელიც წარსულ გაზაფხულზე დასწერა. ოპერაში საუკეთესო ძალები მიიღებენ მონაწილეობას.

— **ქართულ დრამატიული სტუდია.** მეორე რაიონის მუშათა კლუბთან დაარსდა ქართულ დრამატიული სტუდია. რეჟისორად და დრამატიულ ჯელოვნების მასწავლებლად მოწვეულია ვახტანგ გორგაძე. სტუდიაში ჩაწერა გრძელდება კლუბის კანტორაში სად. 6—8 ს. (პლეხანოვის პრ. № 182.)

— **გზების გაყვანა.** უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ლენინგრადის მაზრის რევკომის შუამდგომლობა შესახებ გზების გაყვანის ცაგერიდან ალპანამდე და ცაგერიდან მუმბათამდე ხიდამდე და დადგინა ამ გზების გაყვანა შეტანილ იქმნეს საწარმოო პროგრამაში, გაგზავნილ იქმნა საკერო მასალები, მიეცეს წინადადება სახ. ალმ. კომიტეტს: წარმოადგინოს გეგმა ამ გზებისა, რაც შეეხება მუშა ხელის საკითხს, დადგენილია ეცნობოს ლენინგრადის რევკომს, რომ მუშები ადგილობრივ მცხოვრებლებიდან იქმნას გამოყვანილი საგზაო დისციპლინის დაცვის წესით.

— **ხალხთა ლიტერატურა.** სახ. განათ. კომისარიატთან არსებულ მთავარ პოლ. განათ. საბიბლიოთეკო კურსები გაიხსნება ნოემბრის 22, სალ. 5 საათზე, პუშკინის ქალაქის სამკითხველოს დარბაზში. კურსები სამთვიანია, რომლის მიზანია ნომზადება სამკითხველოს საქმეების მცოდნე პირების. კურსებზე ჩაწერილია ტფილისის მოქალაქეებიდან 25, პროვინციებს შენობის და საერთო საცხოვრებლის უქონლობისა. გამო დაეთმობა მხოლოდ 10 ადგილი.

— **ხალ. მცირე დრამის გახსნა.** ნოემბრის 20 ს გაიხსნა სახელმწ. მცირე დრამ. თეატრი და სეზონი ქართულ-რუსულ დრამისა. თეატრი სავსე იყო ხალხით.

— **განათლების და ხოც კულტურის კავშირში.** პარასკევს 25 ნოემბერს საღამოს 6 საათზე დანიშნულია კრება (ბეგლარის ქ. № 3 სკოლის დარბაზში) ტფილისის ყველა სასწავლებლების, ბიბლიოთეკების მუზეუმების და სახალხო სახლები—გამგეობის გასარჩევად თანამშრომელთა მიღება დათხოვნა, გადაყენების საკითხი. დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

— **„ლიტერატურული ხუთშაბათი“** დღეს ხუთშაბათს ნოემბრის 24 ს ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. 13) სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭო გამართავს თავის პირველ ლიტერატურულ ხუთშაბათს. საღამო გაიხსნება კოწია გამსახურდიას „მოსსენებით: „სტეფან გეორგი“. გეორგის ლექსებს წაიკითხავენ: ი. გრიშაშვილი და ობოლი მგზა. შესვლა უფასო. დასწრება ყველას შეუძლია.

— **ს.ხ. ოპერის შტატების შემოკლება.** ცენტრალი საშტატო კომისიის მიერ შემცირებულია შტატი სახელმწიფო ოპერისა. ამჟამადი, ნორმალი შტატი შეიცავს 234 მოსამსახურეს.

— **ს.ხ. დრამის შტატების შემცირება.** ცენტ. საშტ. კომისიამ შემცირა სახელმწიფო დრამის შტატი. ამჟამადი შტატი განსაზღვრულია 109 კაცით, რომელშიც შედის როგორც ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი, აგრეთვე არტისტიული ძალები ჯგუფისა: ქართულის, რუსულის და სომხურის.

— **ხალხთა ქვეგანყოფილებისადმი ბრძანება.** ქალაქის რევკომის კომუნალი განყოფილებამ ნოემბ. 21 გამოსცა ბრძანება № 734 სამინაო ქვეგანყოფილების მისამართით: დღის რიცხვიდან საკითხი მაღალიანისა გამოყოფილია სამინაო ქვეგანყოფილებიდან და გადაეცემა ქალაქის რევკომის სამეურნეო კომისიას, ამიტომ საქმის საკითხვისავის უნდა მიმართონ აღნიშნულ კომისიას. გამგე **გოგიტაშვილი.**

— **გემი პურით.** 18 ნოემბ. ბათომში მოვიდა გემი „კარნიოლია“, რომელმაც მოიტანა 2792 ტონი ბორბალი საქართველოსათვის. ტფილისიდან მოთხოვილია 200 ვაგონი. ნოემბ. 25-თვის ელიან მეორე გემს 2 ათასი ტონი მარცვლით.

— **ცენტრალურ საშტატო კომისიაში:** სახალხო კომისარიატების შტატების ამ ეამად განხილვისაგან დასრულდა იუსტიციის კომისარიატის, საგმრერ საქმეთა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატების შტატების განსაზღვრა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, მიწ. კომისარიატისა და სახ. განათლების კომისარიატის შტატების განხილვა ახლო ხანში დასრულდება.

— **შტატების შემცირების მუშაობა პროვინციაში.** ცენტრალური საშტატო კომისიამ დაუგზავნა ყველა მაზრებს დაწესებულებებში შტატების შემცირების ინსტრუქცია. ზოგ მაზრაში მუშაობა დაწყებულია, ზოგში კი, მაგ. ბელოიარსკ და ბათომ-საში, დამთავრებულია და ცენ. საშტ. კომისიაში მომხსენების შემდეგ იქ იქნება შემცირებული შტატები და მუდმივი შტატები დაწესებული.

რუსეთი

მოსკოვი. ნოემბ. 21. სინშილის ნიადაგზე უფას გუბერნიებში დაიწყო მასიური ავადმყოფობა. ზოგიერთ თემში ავადდა 70—80 პროც. მცხოვრებლებისა. ბავშვთა სახლებისა მდგომარეობა, სადაც ირიცხება—27,600 ბავშვი, მძიმეა.

მოსკოვი. ნოემ. 21. ამერიკულ კავშირ „საბჭოთა რუსეთის მეგობრებმა“ შეაგროვა დამშეულთა „სასარგებლოდ 175,000 დოლარი.

უცხოეთი

ნიუიორკი. 13 ნოემბ. იტალიო-საფრანგეთის სავაჭრო ხელშეკრულობის დადასტურება გადაიდვა იმის გამო, რომ იტალის მთავრობამ უარი განაცხადა საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილების შესრულებაზე შესახებ ყოფილი მეფის მთავრობის საელჩოს ლიკვიდაციისა. რომში. იტალიის მთავრობა აღნიშნავს, რომ ამ საელჩოს ლიკვიდაცია უდრის საბჭოთა მთავრობის ცნობას, რომლის ცნობა იტალიას სეპარატიულად არ შეუძლია.

ნიუიორკი. 13 ნოემბ. ფაშისტებისა და კომუნისტების შეტაკების დროს რომში აღნიშნულია 10 მკვდარი და 100 დაჭრილი. მთავრობას არ ძალუძს ფაშისტების განდევნა რომიდან რკინის გზის გაფიცვის გაგრძელებისა გამო

პეტროგრადი. 5 ნოემბ. ერუსალიმში არაბებმა მოახდინეს დარბევა. ებრაელთა უბანი განადგურებულია. არის მკვდრები და დაჭრილნი. ინგლისის მართველობის მიერ წესიერება აღდგენილია.

მოსკოვი. 13 ნოემბ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ თანახმად ხელშეკრულობისა საფრანგეთმა ოსმალეთის ერთად ერთ ხელისუფლებათ ანგორის მთავრობა აღიარა.

ოდესა. 11 ნოემბ. ჩეხიის პოლიციამ აღმოაჩინა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელსაც მიზნათ ქონდა სახელმწიფო გადატრიალება ჩეხიის სლავაკიიდან გამოყოფის მიზნით. მთავარი ხელმძღვანელნი დატყვევებულია.

ოდესა. 11 ნოემბ. ბოლგარეთის პრესა იუწყება, რომ ანგორის ეროვნულმა კრებამ სურვილი გამოსთქვა ბავზე ხელის მოწერისა ყველა სახელმწიფოებთან გარდა საბერძნეთისა ხოლო იმ პირობით, რომ ოსმალ ბერძენთა კონფლიქტის დროს ეგ სახელმწიფოები დაიტეხენ ნეიტრალურ პოზიციას და იცნობენ ოსმალეთის დამოუკიდებლობას და აგრეთვე ხელშეუწყობენ საბერძნეთის ფლოტის ნეიტრალურ ზონიდან გაყვანაზე.

პარიზი. 11 ნოემბ. ინგლისის საელჩომ განაცხადა, რომ პარიზელ გაზეთის მატენის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი ინგლ. ოსმალეთის შეთანხმებაზე—ყალბია.

სპარსეთში.

კონსტანტინეპოლი. 16 ნოემბერი თეგერანიდან მიღებულ ცნობის თანახმად სპარსეთის კაბინეტი გადადგა თავისი სურვილით. ყოფილ მთავრობის თავმჯდომარეს მიანდვეს ახალი მთავრობის შექმნა.

ახლო აღმოსავლეთში. ბერძენ-ოსმალთა ფრონტზე.

ანგორა. 16 ნოემბერი. ოფიციალი ცნობა: ელინ-კოდჯის მიმართულებით მტერი, რომელიც მიიწევდა ჩვენს პოზიციებზე, უკუგდებულ იქმნა. დასავლეთ ფრონტზე სწარმოებს სროლა. ბიონ-ჯარა-გისარის მიმართულებით მტერმა გაიჩინა ტყვიისმფრქვეველის ცეცხლი და ისვრის ყუმბარებს.

ნიუიორკი. ნოემბრის 13. ანტანტის ვალები. ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებმა, ხმის უმრავლესობით, გამოსთქვეს ანტანტის საწინააღმდეგო მოსაზრება.

ლონდონი. ნოემბრის 1. ლლოიდ ჯორჯი გამოვიდა თემთა პალატაში სიტყვით შესახებ მთავრობის ღონისძიებისა სამრეწველო კრიზისის და უმუშევრობასთან ბრძოლისათვის. პრემიერმა განაცხადა, რომ ინგლისი ამ ეამად განიცდის ჯერ არ ყოფილ მწვავე, აუტანელ კრიზისს. მთავრობა სცდილობს აღადგინოს ნორმალური სამეურნეო ცხოვრება. რაც შეეხება უმუშევრობას, მთავრობის მიერ შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვით დასახლებული იქნება სხვა და სხვა ადგილებში 50,000 ყოფილი ჯარისკაცი და გადადებული 10 მილ. გირვანქა სტერლინგი უმუშევართა დასახმარებლად. ამის გარდა მთავრობას განხრახული აქვს შექმნას ფონდი უმუშევართა ოჯახების უზრუნველსაყოფად.

პარიზი. ნოემბრის 3. ინგლისის პრესის ცნობით, საფრანგეთის შინაური ვალი გამოიხატება 229,035,000 ფრანკით. საგარეო კი—35,239,000,000 ფრანკი, რომლიდან ამერიკის ეკუთვნის 15,280,000000,000 ფრანკი, ინგლისს—13,311,000,000 ფრანკი.

ნოვადიუ ნოემბრის 6 ძმებს ალი და ექიმი კიჩილოუ გადაეწყვეტათ ორი წლით დატუსაღება ინდოეთში არეულობისაკენ მოწოდებისა გამო. 2 ნოემბერს 25 ათასმა ინდოეთის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა და პროტესტი გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

რა უნდა ინგლისს? თემთა პალატაში მინისტრ ლოიდ ჯორჯმ განაცხადა: „მანამ, სანამ რუსეთში არ იქნება ადგენილი და უკეთეს პირობებში ჩაყენებული ეკონომიური ცხოვრება. ინგლისის ვაჭრობაზე არ შეიძლება დიდ იმედების დაყრება ამ ქვეყანაში“.

მუშათა გაზეთი „დეილი გერალდი“ კი სწერს: „ინგლისის მთავრობას სურდა თურმე გაეწყვიტა თანხმობის ძაფი რუსეთთან, ამ უკანასკნელზე მიეწერა ყველა ბრალები, ინგლის-რუსეთის შეთანხმება ლაპარაკობს, რომ ინგლისმა შეიკავოს თავი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლის გამხნევებისაგან.

ინგლისს კი სურდა თურმე მიეღო აქტიური მონაწილეობა ვაშინგტონის კონფერენციაზე ციმბირში შეჭრის საკითხში იმ გვარად, როგორც შეხებიან ამას იაპონელები და ამერიკანელები.

ვაშინგტონის კონფერენცია

რომი. ნოემბრის 19. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით, ვანიარაღების კონფერენცია შეუდგა ჩინეთის საკითხის განხილვას. ჩინეთის დელეგატმა აღნუსხა თავის მთავრობის მოთხოვნილებანი. ეს მოთხოვნილებანი საზოგადოთ შემდეგნაირია: ჩინეთის დამოუკიდებლობა, დაბრუნება ჩინეთისადმი ოკუპაციით დაკავებულ ტერიტორიებისა და გაუქმება გავლენის ზონებისა, იაპონიის დელეგატმა განაცხადა. რომ იაპონიის მთავრობა საზოგადოთ კეთილგანწყობილია ჩინეთის მოთხოვნილებებისადმი. მაგრამ ამ მოთხოვნილებათა შესრულება დამოკიდებულია განსაზღვრულ გარანტიებისაგან, რომელნიც უნდა განვიხილოთ. იტალიის დელეგატი შეუერთდა იაპონიის შეხედულებას.

ბორდო. ნოემბრის 19. კონფერენცია განაგრძობს განხილვას საკიხითისას იაპონიის გავლენის შესახებ ჩინეთში და წყნარ ოკეანეში. გზა-გზა ამასთანავე მ ჯელობენ ხვა და ხვა კონცესიებზე, რომელნიც უნდა მიიღონ სხვა და სხვა სახელმწიფოებმა ჩინეთის ტერიტორიაზე. იაპონიის წარმომადგენელმა ვიკონტ-ადმირალმა კატომ მოითხოვა 10 დღის ვადა დაწვრილებით შესასწავლად ჩინეთის წარმომადგენელის წინადადება. ს. ხალრანგეთის წარმომადგენელი ბრიანმ 23 ნოემბერს მიიმგზავრება ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში და იქიდან პარიზში. ახლო დღეებში კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვა მარშალი ფოში.

პარიზი. ნოემბრის 20. სპეციალური კორესპონდენტი „ჰავასის“ საგენტოისა იტყობინება, რომ ამერიკის წარმომადგენელმა ჰიუზმა გამოაქვეყნა პირობანი ხალხთა განიარაღებისა. ჰიუზი უკავშირებს განსაკუთრებით შეიარაღების შემოკლებას ნაციონალურ დაცვის მოთხოვნილებებს. ჰიუზი ადგია იმ აზრს, რომ მისგან წარდგენილი გეგმა იყოს ან სავსებით მიღებული, ან სავსებით უარყოფილი. საზღვაო კომისიამ უკვე გამოსთქვა თავისი მოსაზრებანი ტონაჟზე, რაც უნდა იქნას დაცული ინგლისში და ამერიკაში. ინგლისი იტოვებს უფლებას შეინახოს თავის საბრძოლო ფლოტში 18 ბრონენოსეცი და 4 კრეისერი, ჩრდილოეთ ამერიკას—18 ბრონენოსეცი. ეს ციფრები მიწოდებულია ჰიუზისაგან.

ბორდო, 20 ნოემბერი. იაპონიის კონტრ-წინადადება, რომელიც შესდგება იმაში, რომ იაპონიისათვის იქმნეს დადგენილი მაღალი ტონაჟი მსუბუქი საბრძოლო ფლოტის გადიდებით, ახლენს უარყოფითს შთაბეჭდილებას ამერიკის საზოგადოებრივ წრეებზე. რომელნიც სთვლიან ამ წინადადებას, მიმართულს წინააღმდეგ ჰიუზის გეგმის პრინციპებისა. საზღვაო ექსპერტები განწყობილნი არიან დათმობისაკენ იაპონიის მიმართ; თუ კი მას უნდა შეინახოს ახალი ზეკრედნოუტები. „მაშინ ის უნდა დათანხმდეს შემოკლებას სხვა მსხვილ საზღვაო საბრძოლველ ერთეულებზე. ვაშინგტონის კონფერენცია სანქციას არ უშვრება მექანიკურ გადიდებას საბრძოლო ტონაჟისას იაპონიაში. ამერიკელები სთვლიან 60 პროც. საბრძოლო საზღვაო ტონაჟისას, რომელსაც იკავებს იაპონია, ზედმეტად.

მდგომარეობა ზუგდიდის მაზრაში

(ხალ. რევკომის ხაინფორმაციო განყოფილების ცნობა.)

ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთა სასურსათო მდგომარეობა მეტად ცუდია. მოსავალს გლახა პირი უჩანს. სექტემბრის და ოქტომბრის განუწყვეტელმა წვიმებმა და სიცივემ, გაზაფხულის გვალვების გამო გვიან დათესილი ყანები ძლიერ დააზიანა, მომავალ წელში მოსალოდნელია შიშშილი თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები. ვენახ ბს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ცუდმა ამინდმა ისიც ძლიერ დააზიანა.

ხალხის სულიერი განწყობილება შედარებით კარგია, საჭიროა ოჯახის პირველ საჭირო საგნების ტანსაცმელ-ფეხსაცმელების და უპირველესად ყოველისა მატყლის მიწოდება. მცხოვრებთა დამოკიდებულება მთავრობისადმი კეთილია, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ზოგიერთ პირების უშედეგო უკმაყოფილებას ჩრ ებულ წესწყობილებით.

ცენტრალურ ორგანოების მუშაობა მოწესრიგებულია. გაახსნილია ყველგან სახალხო სასამართლოები, რომელთაც დიდი სიხარულით შეეგება ხალხი.

სწავლა-განათლების საქმე კარგად ვერ არის დაყენებული: შენობები დაზიანებულია და ბევრი მათგანი მოითხოვენ კაპიტალურ შეკეთებას.

პროპაგანდა ეწყობა ყოველ კვირაობით, როგორც ქალაქში. აგრეთვე სოფლათ.

მიწის კომიტეტი შეძლებისა და გვარად განაგრძობს მუშაობას გლეხების დამოკიდებულება კომიტეტსა და საერთოთ ღალის ირგვლივ შემდგარ კომისიისადმი კეთილი.

ზუგდიდის მაზრის მუშაობა. ხათბობი მახალა მცხოვრებთათვის. ზუგდიდის რევკომმა დადგინა აღძრას შუამდგომლობა საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს წინაშე რათა მიეცეს მას ერთი ცისტერნი ნავთი ქვაღლონის საზოგადოებისათვის.

— რევკომმა ამავე სხდომაზე დაკმაყოფილა ქვაღლონის რევკომის შუამდგომლობა უდარიბეს მცხოვრებთათვის შეშისა და საჭირო ხე-ტყის მასალის უფასოთ მიცემის შესახებ.

— რადგანაც ზუგდიდის მაზრის შუა ნაწილის მცხოვრებლები მეტის მეტად საჭიროებენ საშუშე და საშენებელ მასალას, და რადგანაც მთავარი მასიური ტყეები მათზე დაშორებულია რევკომმა დადგინა: მიეცეს უფლება ადგილობრივ მცხოვრებლებს ისარგებლონ მათზე ახლო მდებარე პატარა სატყეო მიწის ნაკვრებით. დაწესდეს კონტროლი მოსაკ ელ ხეებ ს წესიერად და მიზანშეწონილად გახმარებ ზე. კონტროლი დაეკისროს საფონდო ადგილების გამგეს. მასვე დაეკისროს ჩასცეს ნებართვები გაჭირვებულ დ ღარიბ მცხოვრებლებზე თანახმად სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების და ადგილობრივ რევკომების მიერ გაცემულ მოწმობებისა. ადგილობრივ რევკომებს ეკისრება ასეთ ტყეების დაცვა.

წიხქვილებიან ჩ მორომეა. რევკომმა დადგინა: ქვაღლონის საზოგადოებაში მდებარე ორი მატორიანი წისქვილი, რომელიც ეკუთვნის კერძო პირებს ჩამოერთვას მათ და გადაეცეს საზოგადოებას.

თანამდებობაზე დანიშვნა. თანახმად ზუგდიდის რევკომის დადგენილებისა დამტკიცებულ იქნეს პოლიტიკურ განთლების განყოფილების კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ს. ცხაკაია და წევრებად: ნიკოლოზ ქუჩულორია და გრიგოლ შელია: განათლების განყოფილების კოლეგია: თავმჯდომარეთ ერ. როდონაია, მისი მოადგილეთ ბ. უგულავა, მ.ხ პატარაია, ეს, ცხაკაია, ჰ. ნადირაძე და ნ. ბუკია: წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისიის სამეულ: მიხეილ ქაკულია, ბ. ფეხეიძე და ბ. ცაგურია.

— შრომის ინსპექტორი როგავა გადაყენებულ იქნას თანამდებობიდან და მის მაგიერ დაინიშნა კ. ქუჩულორია.

— სოც. უზრუნველყოფის განყოფილების კოლეგიის მესამე წევრად დაინიშნა გიორგი ალშიბაია.

— რევკომმა დაამტკიცა ახალ-ხიბულის სასამართლოს თანამშრომლებათ ელურეკაია—მდივნათ, ჰ. ჯიშკარიანი—სასამართლოს აღმასრულებლათ ი. ჯიქია—მდივნის თანაშემწეთ, ლიდა მგალობლიშვილი—რეგისტრატორათ — ვ. როგავა—გადამწერათ, ჰ. ლაბრია—მემანქანეთ, ლ. გოგია—გზირათ და ე. გოგია ისაფლათ.

მიწების გადაცემა. რევკომის დადგენილებით ქალაქში მდებარე საზოგადო კუთვნილების მიწები გარდა ბოტანიკურ ბაღისა გადაეცა რევკომის კომუნალურ განყოფილებას.

გადახახადების დაწესება. რევკომმა დადგინა დაწესდეს გადასახადი საბ-ჭოთა სადალაქოში, ანანურში, სალეწარზე, სასაკლაოში და ბაზაკერეის სახელოსნოში.

გზების შეკეთება ერთიმეორეზე დადება მისცა მგზავრის ნილტიის უფროსს, რაც მიმართულია ცოლიკ ბეთის, ხობის და დიდ ბინის, თემებში მოახდინონ კაპიტალური შეკეთება სენაკის ხობის ხიდამდე და დიდინეძის გზატკეცილის.

სამეგრელოს მუზეუმი განთლების კომისარიატს განზრახული აქვს დაარსოს სამეგრელოს მუზეუმი ყოფილ ედოფლის სასახლეში სამეგრელოს მთავრის და მიურატის სასახლეების ქონებიდან, რომლის ორგანიზატორად დანიშნულია მოქ. აკაკი ჭანტურია.

დადგენილება № 99

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთსადგურების მოქმედებით დაინტერესებულ უწყებათა მორის ურთი-ერთი დამოკიდებულების მოწესრიგების შესახებ.

საზღვაო ტრანსპორტისა და ნავთსადგურის მოქმედების დაინტერესებულ უწყებათა შორის ურთი-ერთი დამოკიდებულების მოსაწესრიგებლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ნავთსადგურის ტერიტორია და ნავთსადგურის წყლები—ყოველი ანაგებით, რაც მათ—ფარგლებში, არის საზღვაო ტრანსპორტის მმართველობის სამეურნეო და ადმინისტრატიულ გამგებლობაში, ხოლო ადგილობრივად—საკავშირო ნავთსადგურის უფროსის გამგებლობაში.

2. აკრძალულია ყოველგვარი ჩარევა რომელი უწყებისაც უნდა იყოს, საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრატიულ და ტექნიკურ სამეურნეო მოქმედებაში.

3. მიცემა საწყობისა, სადგომისა, ნაპირზე მიცურვის სარგებლობის უფლებისა და სხვა სწარმოებს საზღვაო ტრანსპორტის უფროსის განკარგულებით უწყებათა გასცხადებისამებრ, „რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბიროში.

4. საზღვაო ტრანსპორტის მმართველობასთან, საზღვაო ტრანსპორტის უფროსის თავმჯდომარეობით, არსდება საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა სათათბირო შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: საზღვაო ტრანსპორტისა, საგარეო ვაჭრობის, სახალხო კომისარიატისა, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა, უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, საბუნებრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატისა, საზღვარგარეთ სახალხო კომისარიატისა, საგზაო სახალხო კომისარიატისა და წყალთა ტრანსპორტის მუშათა კავშირისა.

5. საკავშირო ნავთსადგურთა უფროსებთან, მათი თავმჯდომარეობით, მოეწყობა ნავთსადგურის საქმეთა სათათბირო იმავე უწყებათა წარმომადგენლებისაგან და ამის გარდა ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის წარმომადგენლისაგან.

6. უფლება და კომპეტენცია საზღვაო ტრანსპორტის საქმეთა და ნავთსადგურის სადგურის სათათბიროებისა განისაზღვრება დებულებით, რომლის სათანადო ვადაზე შემუშავება დაევალება საზღვაო ტრანსპორტის მმართველობას.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი **ალ. ხალვაშიძე.**

1921 წ. ნოემბრის 18.

ტფილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

დავკარგე მოწმობა № 1291 ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ივსე ნესტორის ძე შაქარიშვილის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად.
100

დავკარგე სამხედრო ბეგრისაგან განთავისუფლების მოწმობა მოცემული ეუთაისის სამხედრო კომისრის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად.
მიხეილ ივანეს ძე ტაბიძე.
105

დავკარგე მოწმობა მოცემული სოფ. ფარცხან ყანების რევკომისაგან კონსტანტინე იაკობის ძე კალაძეს სახელობაზე და მასთან დაკარგე რეგისტრაციის მოწმობა ტფილისში მოცემული პალატნი ინსპექტორის, რომელსაც დღეის რიცხვიდან ვთვლი გაუქმებულად.
104